

არაჩვეულებრივი სიყვარული

ღმერთის სიყვარული უზარმაზარი, უსაზღვრო და
არაჩვეულებრივია.
როგორ გავზომოთ ის? როგორ ვუპასუხოთ მას?

დერეკ პრინსი

EXTRAVAGANT LOVE

Copyright © 1990 Derek Prince Ministries–International
All rights reserved.
ISBN 0-934920-99-0
Derek Prince Ministries - Caucasus§
www.derekprince.com
www.derekprince.ru

სარჩევი:

შესავალი.....	4
1. განძი მინდორში.....	6
2. ძვირფასი მარგალიტი.....	11
3. იესომ გადაიხიდა სრული სფასური.....	17
4. მთელი მემკვიდრეობა.....	23
5. არაჩვეულებრივი სიყვარულის დაბრუნება.....	28
ავტორის შესახებ.....	33

შესავალი

არაჩვეულებრივი სიყვარული. ის შეგიძლევით ღმერთის დაფასების და მის მიმართ საპასუხო გრძნობის ახალ განზომილებაში. გაგაოცათ სიტყვამ “არაჩვეულებრივი”? ეს შესაბამისი სიტყვაა, რადგან ის პირველ რიგში ღმერთის სიყვარულს ეხება.

ღმერთის ბუნება თავისი არსით - სიყვარულია. ღმერთი გაცილებით დიდი და გრადიოზულია, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, და ეს აგრეთვე ეხება მის სიყვარულსაც. ჩვენი, ადამიანური სიყვარული ხშირად ისეთი მენჯრილმანე, მწირი და ეგოცენტრულია, ხოლო ღვთიური სიყვარული - უზარმაზარი, უსაზღვრო და არაჩვეულებრივი! ეს არის ლოცვა, რომლითაც პავლე ლოცულობდა ღმერთის ხალხისთვის ეფესელთა 3:14-19-ში: “ამისათვის ვიდრეც მუხლს მამის წინაშე, ვის მიერაც იწოდება ყოველი მამობა ცაში და ქვეყანაზე, რომ მოგცეთ ძალა თავისი დიდების სიმდიდრით, თავისი სულით შინაგან კაცში განსამტკიცებლად. ქრისტეს დასამკვიდრებლად რწმენით თქვენს გულებში, და იყოთ თქვენ ფესვგადგმულები და დაფუძნებულები სიყვარულში, რათა შეძლოთ ყველა წმიდასთან ერთად ჩანვდეთ, რა არის განი და სიგრძე და სიმაღლე და სიღრმე, და შეიცნოთ ქრისტეს სიყვარული, ცოდნას რომ აღემატება, რათა აღივსოთ სრული ღვთიური სისავსით.”

პავლეს მიერ ჩვენთვის ლოცვის მთავარი აზრი იყო, რომ შევიცნოთ ღმერთის სიყვარული. მაგრამ ჩვენ ვერ დავუთმობთ ჩვენს გულებს ქრისტეს დასამკვიდრებლად, სანამ სულიწმიდა არ გაგვადლიერებს შინაგან კაცში. პავლე ლოცულობს, რათა ჩვენ დაფუძნებულები ვიყოთ ღმერთის სიყვარულში და ჩავწვდეთ რა არის ამ სიყვარულის განი და სიგრძე და სიმაღლე და სიღრმე. ბოლოს ის ამ ყოველივეს დასკვნას უკეთებს: “შეიცნოთ სიყვარული, ცოდნას რომ აღემატება...” ეს პარადოქსია. როგორ შეგვიძლია შევიცნოთ სიყვარული,

რომელიც ცოდნას აღემატება? მჯერა, რომ არსებობს ამის პასუხი: ესაა ის, რომ ვიცით ეს არა ჩვენი ინტელექტით, არამედ წერილის და სულიწმიდისმიერი გამოცხადებით. ეს არის გამოცხადება, რომელსაც სულში უფრო ვიღებთ, ვიდრე გონებაში.

ამ წიგნის მიზანია გაგიზიაროთ წერილის ზოგიერთი მონაკვეთი, რომელიც გვაცნობს იმ სტანდარტებს, რომლითაც უნდა გავზომოთ ღმერთის სიყვარული.

ბანძი მინდორში

პირველი ასეთი მონაკვეთი წერილიდან არის იესოს იგავი, რომელსაც ვკითხულობთ მათ. 13:44-ში. ეს არის იგავი მინდორში დაფლული განძის შესახებ.

ეს იგავი არის მარტივი ამბავი ყველასათვის გასაგებ მატერიალური მიწიერი საგნების შესახებ. ის, რაზეც იესო საუბრობდა საერთოდ, გასაგები და ნაცნობი იყო ყველა მისი მსმენელისთვის, მაგრამ იგავის მიზანია წარმოაჩინოს უხილავი, მუდმივი და სულიერი რამ. იესო იყენებდა კარგი მასწავლებლის მეთოდს: მიუძღვოდა ადამიანის ცნობიერებას ნაცნობიდან უცნობისკენ. ის იწყებდა ისეთი რამით, რაც მისი მსმენელისთვის ნაცნობი და გასაგები იყო და გადადიოდა ისეთ რამეზე, რაც მათთვის უცნობია. როდესაც ვკითხულობთ ამ იგავს, საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ: რა არის ის სულიერი რამ, რაც მიესადაგება იმ მატერიალურს, რაც იგავშია ნახსენები? მოდით ვნახოთ ეს იგავი და შემდეგ შემოგთავაზებთ ჩემს განმარტებას.

“ცათა სასუფეველი წააგავს განძს, მინდორში დაფარულს, რომელსაც წააწყდება კაცი და ჩამალავს, სიხარულით მიდის და ყიდის ყოველივეს, რაც აბადია, და ყიდულობს იმ მინდორს..”

ეს ძალიან მარტივია. რა არის ის სულიერი რეალობა, რომელსაც ეს უბრალო ამბავი გვიცხადებს? ეს არის ჩემი პირადული განმარტება, რომელიც გამომდინარეობს და ეთანხმება წმიდა წერილის მთავარ პრინციპებს. მე არ ვამტკიცებ, რომ არ ასებობს ამ იგავის სხვაგვარი ახსნა, მაგრამ ეს არის ჩემი: კაცი, რომელმაც განძი იპოვა, იესოა. მინდორი - ქვეყნიერებაა. ამის მტკიცებულება მათეს 13:38-ია, სხვა იგავში. ეს ის მთავარი აზრია,

რომელიც გასდევს შვიდივე იგავს მათეს მე-13-ე თავში. განძის შესახებ რაღა ვთქვათ? ეს ღმერთის ხალხია ამ ქვეყნიერებაზე. მოკლედ, კაცი არის იესო, მინდორი - ქვეყნიერება და განძი, ღმერთის ხალხი ამ ქვეყნიერებაზე.

როდესაც კაცმა აღმოაჩინა, რომ განძი იყო დამარხული მინდორზე, ის ძალიან ბრძნულად მოიქცა. მას მაშინვე ყველასთვის არ უთქვამს განძის შესახებ. წერილი ამბობს, რომ მან ფაქტიურად დამალა ეს. მან იცოდა, რომ თუ ხალხი გაიგებდა იმის შესახებ, რომ განძი იყო დაფლული მინდორში, მაშინ უამრავი შემცილებელი გამოუჩნდებოდა. მან ეს დამალა და გადაწყვიტა მთელი მინდორი ეყიდა, თუმცა მას მთელი მინდორი არ სჭირდებოდა. სინამდვილეში მას მხოლოდ განძი უნდოდა იმ მინდორზე, მაგრამ ის საკმაოდ რეალისტი იყო და იცოდა - იმისთვის, რომ განძი მიეღო, მას მთელი მინდვრის ფასი უნდა გადაეხადა. ამ მინდვრის ფასი იმ კაცისთვის ძალიან ძვირი იყო. რაც კი გააჩნდა, ყველაფრის გაღება მოუწია. მაგრამ მან ეს სიხარულით გააკეთა, რადგან იცოდა იმ განძის ფასეულობა, რომელსაც მიიღებდა.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ადგილობრივ მკვიდრთა გაოცება? “ნეტავ რაში დასჭირდა ამ კაცს ეს მინდორი? მას სინამდვილეში არავითარი ფასი არ აქვს. მოსავლის მოსაყვანად უვარგისია. ეკალბარდების გარდა არაფერს აღმოაცენებს ეგ მიწა. ამხელა ფასი რატომ გადაიხადა ასეთ მინდორში?”

ხედავთ, მათ არ იცოდნენ განძის შესახებ. ერთადერთი, ვინც განძის შესახებ იცოდა, იესო იყო. ასე რომ, მან მთელი ქვეყნიერების საფასური გადაიხადა, რათა თავისთვის მოეპოვებინა ის განძი, რომელიც ამ მინდორზე იყო. განძი კი, ღმერთის ხალხია.

მოდით ვნახოთ კიდევ ერთი კარგად ნაცნობი

მუხლი ახალი აღთქმიდან:

“რადგან ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყნიერება, რომ მისცა თავისი ერთადერთი ძე [იესო], რათა არავინ, ვინც მას ირწმუნებს, არ დაიღუბოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე..” (იოან. 3:16)

ღმერთმა შეიყვარა ქვეყნიერება და მისცა თავისი ძის სიცოცხლე, რომ გამოესყიდა მთელი ქვეყნიერება. მაგრამ რას იღებს ღმერთი ამ ქვეყნიერებისგან, მხოლოდ ვინც: “ვინც მას ირწმუნებს, არ დაიღუპება.” ასეთების სრული გაერთიანება წარმოადგენს იმ განძს მინდორში, რომლის შესაძენადაც მოკვდა იესო. მან გამოისყიდა ქვეყნიერება მათი გულისთვის ვინც ირწმუნებდა.

ტიტეს 2:14-ში ჩვენ ვკითხულობთ იგივე ჭეშმარიტებას, რომელიც ამ წერილშია კვლავ წარმოდგენილი. აქ ის იესო ქრისტეზე ამბობს:

...რომელმაც თავი დასდო ჩვენთვის, რათა გამოვესყიდეთ [უკან დავებრუნებინეთ თავისთვის] ყოველგვარი ურჯულოებისაგან და განენმიდა თავისთვის რჩეული ხალხი, კეთილი საქმეების მოშურნე..

ეს არის განძი - ხალხი, რომელიც მას ეკუთვნის, ვინც ქვეყნიერებიდან გამოისყიდა და იხსნა ყოველგვარი ურჯულოებისგან, განწმიდა და გახადა ყოველი კეთილი საქმის კეთების მოშურნე, ხოლო ამის საფასური კი თვითონ იყო: ყველაფერი რაც გააჩნდა და ყველაფერი რაც თვითონ იყო. მან თავისი ცხოვრება გაიღო. საკუთარი თავი გაიღო, რომ შეეძინა მინდორი განძის გამო, თავისი დახსნილი ხალხის გამო. არის კიდევ ერთი მოსაზრება მინდორში განძის შესახებ. იესომ იყიდა მინდორი, მაგრამ უტოვებს მას თავის მონებს, სახარების მსახურებს, განძის აღსადგენად და მოსაგროვებლად. ეს ბევრ და დიდძალ შრომას მოითხოვს. უნდა მოძებნოთ და იპოვოთ სად არის განძი, უნდა ამოთხაროთ და ამოიღოთ მინიდან. ის მი

წაში დიდი ხნის მანძილზე იდო და დაჟანგებული, ჭუჭყიანი, დაობებული და დაზიანებული იქნება, მას ბევრი გასუფთავება დასჭირდება.

იესო არ ეწევა ამ გასუფთავების სამუშაოს თვითონ. მას ჰყავს მონები ამქვეყნად მისი განძის მოსაძებნად და ამოსათხრელად, მძიმე სამუშაოს ჩასატარებლად. დამიჯერეთ ხალხის უფალთან მიყვანა და მათთვის სახარების ქადაგება მძიმე სამუშაოა. ეს ისევე რთულია, როგორც განძის ამოთხრა მინდვრიდან. მაგრამ, სწორედ ეს აქვთ მინდობილი სახარების მქადაგებლებს. მე ერთი იმ მრავალთაგანი ვარ, ვინც ღმერთს ამისთვის ჰყავს ამ მიწაზე. ჩემი მსახურების მიზანი არის ამ განძის მინდვრიდან ამოღება, და მისი განწმენდა უფლისთვის მისაღებ მდგომარეობამდე. ამას ამბობს პავლე თავისი მსახურების შესახებ კოლას.1:28-29-ში: “რომელსაც ვქადაგებთ ჩვენ, რათა შევაგონოთ ყოველ ადამიანს და ვასწავლოთ ყოველ ადამიანს ყოველგვარი სიბრძნე, რათა ყოველი კაცი წარვადგინოთ სრულქმნილად ქრისტე იესოში. ამისათვის მეც ვშრომობ და ვიღწვი მისი ძალით, რომელიც ძლიერად მოქმედებს ჩემში.”

პიროვნება, რომელსაც ჩვენ ვქადაგებთ - იესოა. ჩემი მსახურების მთელი მიზანი იესოს პიროვნების გაცხადებაა. პავლეს ასევე, ვერ კმაყოფილდებოდა თუ ღმერთის რომელიმე შვილი თავის პოტენციალზე დაბალ დონეზე რჩებოდა. ის ბევრს შრომობდა. დაუკვირდით ყველა სიტყვას ამ მუხლებში, რომელიც განსაზღვრავს მის მოღვაწეობას: “მე ვშრომობ... ვიბრძვი... მისი ენერჯია... მძლავრად მოქმედებს ჩემში.” რა არის მთელი ამ მოქმედებების მიზანი და მიმართულება? რომ ამოიღოს მთელი ეს განძი მინდვრიდან, განწმინდოს და გახადოს სასურველი უფლისთვის წარსადგენად, რომელიც მოკვდა და საკუთარი სიცოცხლის ფასად გამოისყიდა მინდორი.

როგორ ვაკეთებთ ამას? პავლე ამბობს: “შევა

გონებთ და ვასწავლით. ჩვენი მიზანია ყველა მათგანი სრულქმნილი წარვუდგინოთ ქრისტეს.” მაგრამ მინდა შეგახსენოთ ის ფასი, რაც გადახდის იყო მინდვრისთვის და იმ განძისთვის, რაც ამ მინდორში იყო დაფლული. საფასური იყო, ყველაფერი, რაც კი გააჩნდა მას. არაფერი დაუზოგავს და დაუტოვია თავისთვის, არამედ ყველაფერი გაიღო. მისი სიყვარული არაჩვეულებრივი გახლდათ. მან ეს სიყვარულით გააკეთა, რადგან ასეთი სიყვარულით უყვარდა ეს განძი.

ქვირვასი მარბალიტი

ღმერთთან დაკავშირებული ყველაფერი უფრო დიდებული და დიდია, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია საერთოდ წარმოვადგინო, ეს განსაკუთრებით მის სიყვარულს ეხება. ღმერთის ბუნება - სიყვარულია. შერჩეული სიტყვა ამ სიყვარულის აღსაწერად არის - “არაჩვეულებრივი”, ცოტა უჩვეულოა, რადგან არარელიგიური სიტყვაა, იმისთვის, რომ სტერეოტიპებისგან გაგვანთავისუფლოს. ღმერთის სიყვარული მართლაც არაჩვეულებრივია.

ჩვენი, ადამიანური სიყვარული ხშირად ძალზედ მენჭრილმანე, მწირი და ეგოცენტრულია, ხოლო ღვთიური სიყვარული სულაც არ არის ასეთი. ის უზარმაზარი, უსაზღვრო და არაჩვეულებრივია! გაიხსენეთ ლოცვა, რომლითაც პავლე ლოცულობდა ყველა ჩვენგანისთვის ეფესელთა 3:14-19-ში: “ამისათვის ვიდრეც მუხლს მამის წინაშე, ვის მიერაც იწოდება ყოველი მამობა ცაში და ქვეყანაზე, რომ მოგცეთ ძალა თავისი დიდების სიმდიდრით, თავისი სულით შინაგან კაცში განსამტკიცებლად. ქრისტეს დასამკვიდრებლად რწმენით თქვენს გულებში“

იმის გასათვითცნობიერებლად, თუ რა აქვს ჩვენთვის ღმერთს, პირველ რიგში სულიწმიდისგან ძალა უნდა მოგვეცეს შინაგანში. რალაც უნდა შეიქმნას ჩვენს შინაგანში, როგორც ჭურჭლებში, იმისთვის, რომ მოათავსოს ჩვენში ის, რაც მას სურს. პავლე აგრძელებს განმარტებას, თუ რა იყო ეს: “და იყოთ თქვენ ფესვგადგმულები და დაფუძნებულები სიყვარულში, რათა შეძლოთ ყველა წმიდასთან ერთად ჩანვდეთ, რა არის განი და სიგრძე და სიმაღლე და სიღრმე, და შეიცნოთ ქრისტეს სიყვარული, ცოდნას რომ აღემატება, რათა აღივსოთ სრული ღვთიური სისავესით.“

ღმერთს სურს თავისი სიყვარულის სისავესე იმ

ჭურჭელში მოათავსოს, რომელიც მან ჩვენში შექმნა თავისი სულიწმიდით. მას უნდა, რომ ჩვენ მისი სიყვარულის ყველა განზომილება შევიცნოთ - მისი სიგანე, სიგრძე, სიმაღლე და სიღრმე. მას უნდა, რომ შევიცნოთ სიყვარული, რომელიც ცოდნას აღემატება. ღმერთის სიყვარულის შემეცნება შეუძლებელია ინტელექტის საშუალებით. მისი გათვითცნობიერება მხოლოდ წმიდა წერილის და სულიწმიდის მეშვეობითაა შესაძლებელი.

იგავი მინდორში დაფლული განძის შესახებ გამოყენებულია როგორც სტანდარტი ღმერთის სიყვარულის გასაზომად. მთელს ამ წიგნში ჩვენი ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ მას ეს ძვირი დაუჯდა და რაც გააჩნდა ყველაფერი გაიღო.

ჩვენ აღარ ვამახვილებთ ყურადღებას მომდევნო იგავზე: ძვირფას მარგალიტზე. პირველი იგავი განძის შესახებ ცხადყოფს ქრისტეს სიყვარულის სიდიადეს მისი ხალხის მიმართ მთლიანობაში. ხოლო იგავი ძვირფას მარგალიტზე გვამცნობს რამდენად დიდია ქრისტეს სიყვარული ყოველი ცალკეული ადამიანის სულისადმი, ანუ ინდივიდისადმი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენთაგანისათვის, რათა შევძლოთ სათანადოთ დავაფასოთ ღმერთის სიყვარული ჩვენდამი, როგორც ინდივიდებისადმი და არა როგორც ჯგუფის ნაწილისადმი. მათეს 13:45-46:

“კიდევ: ცათა სასუფეველი წააგავს ვაჭარს, რომელიც ლამაზ მარგალიტებს ეძებს. როცა წააწყდება ერთ ძვირფას მარგალიტს, წავა, გაყიდის ყველაფერს, რაც აბადია, და იმას შეიძენს.”

პირველი იგავის მსგავსად აქაც, ვაჭარი - იესოა. ის არც ტურისტია იყო და არც ვიტრინების დამთვალიერებელი, არამედ პიროვნება, რომელმაც დანამდვილებით იცოდა იმის ფასი, რასაც ეძებდა. როდესაც მან იპოვა ის ერთი მარგალიტი, გაი

აზრა, რომ ნამდვილად კარგი შენაძენი იქნებოდა საიმისოდ, რომ გაეყიდა ყველაფერი რაც გააჩნდა და ეს ერთი მარგალიტი ეყიდა. რამდენი ჩვენგანი მოიქცეოდა ასე? რამდენი ჩვენგანი მონახავდა იმდენად ძვირფას ქვას, რომ გაგველო ყველაფერი, რაც კი გაგვაჩნდა, ამ ერთი ძვირფასი ქვის ხელში ჩასაგდებად? ასეთია იესოს სიყვარული. ის არაჩვეულებრივია.

მარგალიტის ფასი იგივეა, რაც მინდვრის: ყველაფერი, რაც გააჩნდა. შემდეგ ჩვენ უნდა გავაანალიზოთ ის, თუ რას ნიშნავდა იესოსთვის ყველაფრის გაღება. რას ნიშნავს მარგალიტი? მისი ერთ-ერთი განმარტება წერილის მიხედვით - განსაცდელი, ანუ ტანჯვაა. მარგალიტი წარმოიქმნება ხამანწკის ნიჟარის შიგნით გამოწვეული რაღაც გაღიზიანების შედეგად. სინამდვილეში ის წარმოიქმნება ნიჟარის შიგნით რაღაც არასასურველი პროცესების შედეგად. საინტერესოა, რომ ახალი იერუსალიმის ყველა კარიბჭე მარგალიტისგანაა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ახალ იერუსალიმში მოსახვედრი სხვა გზა არ არსებობს, თუ არა ტანჯვის მეშვეობით. სხვა ჭიშკარი არ არსებობს.

შემდეგში ეს მარგალიტი გასაყიდად ვარგისი რომ გავხადოთ, ბევრი რამ იქნება გასაკეთებელი. ის უნდა ამოვიტანოთ ზღვის ფსკერიდან, ამოვიღოთ ნიჟარიდან და მრავალ სხვა დასამუშავებელ პროცესს დავუქვემდებაროთ. ისიც იგივე ძალისხმევას მოითხოვს, როგორც მინდორში დამარხული განძი. მის გამზადებასაც დიდი შრომა სჭირდება. იესომ იყიდა მინდორი, მაგრამ დაუტოვა ის თავის მსახურებს, რომ მისთვის გაემზადებინათ განძი. ზუსტად ასევეა მარგალიტის შემთხვევაშიც. მაგრამ საბოლოოდ მისგან გამოვა პრიალა, მშვენიერი, ბრწყინვალე მარგალიტი.

წარმოიდგინეთ, იესოს ხელში უჭირავს მხოლოდ

ერთი მარგალიტი და უდიდესი სიყვარულით დაჰყურებს მას. ეს არის რაღაც ძალიან პირადული და ძალიან ინდივიდუალური. ეს არ არის კოლექტიური, ჯგუფის მიმართ სიყვარული. ეს იესოა, რომელსაც ხელის მტევანზე მხოლოდ ერთი მარგალიტი უდევს და ამ მარგალიტს ეუბნება: “შენთვის გადავიხადე ეს ფასი. მე ყველაფერი გავიღე შენთვის, რაც კი გამაჩნდა.”

გადადგით კიდევ ერთი ნაბიჯი, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია. უთხარით საკუთარ თავს: “მე ვიყავი ის მარგალიტი. მე ვარ ის მარგალიტი. არავინ სხვა რომ არ ყოფილიყო დასახსნელი, იესო მაინც მოკვდებოდა მხოლოდ ჩემთვის.” შენ ეს აუცილებლად უნდა დაინახო. ძალიან ბევრი ჩვენთაგანი იტანჯება არასრულფასოვნების, არაადეკვატურობის და უარყოფის ან გარიყულობის განცდით. ჩვენ გვაინტერესებს, ნამდვილად სასურველები ვართ თუ არა. ამიტომაც ასე მნიშვნელოვანი დავინახოთ, რომ ყოველი ჩვენგანი არის მარგალიტი, რომლისათვისაც იესომ ყველაფერი გაიღო, რაც კი გააჩნდა.

აქ არის ოთხი მარტივი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი ღმერთის სიყვარულის შესახებ.

ღმერთის სიყვარული ინდივიდუალურია.

ღმერთის სიყვარული მარადიულია.

ღმერთის სიყვარული დროის მიღმაა.

ღმერთის სიყვარული უძლეველია.

მოდით ვნახოთ რამდენიმე ადგილი წმიდა წერილში, რომელიც ილუსტრირებას უკეთებს ამ ოთხ პუნქტს.

ღმერთის სიყვარული ორივეა - ინდივიდუალური და მუდმივი.

შორიდან გამომეცხადა უფალი და მითხრა: “საუკუნო სიყვარულით შეგიყვარე, ისრაელ, ამის გამო მიგიზიდე წყალობით.” (იერემიას 31:3)

ღმერთის სიყვარული შორიდან ანუ ოდითგანვეა.

ის ინდივიდუალური და საუკუნო, ანუ მარადიულია. მისი სიყვარულიდან გამომდინარეა, რომ ის თავისკენ გვიზიდავს.

ღმერთის სიყვარული დროის მიღმაა.

როგორც ამოგვარჩია [ღმერთმა] ჩვენ მასში [იესოში] ნუთისოფლის შექმნამდე, რათა წმიდანი და უბინონი ვყოფილიყავით მის წინაშე. სიყვარულით წინასწარ განსაზღვრა ჩვენი შვილება იესო ქრისტეს მეშვეობით ... (ეფესელთა 1:4-5)

არსებობს ამ მუხლის ორგვარი ვერსია პუნქტუაციის თვალსაზრისით: “**რათა წმიდანი და უბინონი ვყოფილიყავით მის წინაშე სიყვარულით...**” და “**წმიდანი და უბინონი ვყოფილიყავით მის წინაშე. სიყვარულით წინასწარ განგვისაზღვრა**”. მაგრამ როგორც არ უნდა ნაიკითხოთ, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ღმერთის სიყვარული დროის მიღმაა. ჯერ კიდევ ქვეყნიერების შექმნამდე ღმერთმა შეგვიყვარა, აგვირჩია და წინასწარ განგვისაზღვრა. მან ისე მოაწყო თავისი ცხოვრების კურსი, რომ ჩვენ შევხვედროდით მას და მის სიყვარულს.

ღმერთის სიყვარული უძლეველია.

ერთი მარტივი განმარტებაა სოლომონის ქება-თა-ქებაში 8:6, სადაც ნათქვამია რომ, “**სიყვარული სიკვდილივით ძლიერია**”. სიკვდილი დაუძლეველი რამაა. როდესაც სიკვდილი მოდის ვერავინ გააბრუნებს მას უკან. ვერავინ ეტყვის მას: “მე მზად არ ვარ. ვერ მიგიღებ.” არცერთ ადამიანს არ გააჩნია ძალა, რომ სიკვდილს გაუძლოს. სოლომონი ამბობს: “**სიკვდილივით ძლიერია სიყვარული.**”

ახალ აღთქმას ერთი ნაბიჯით წინ მივყავართ. როდესაც იესო მოკვდა და აღდგა მკვდრეთით, მან დაამტკიცა, რომ სიყვარული სიკვდილზე უფრო ძლიერია. ყველაზე უფრო უძლეველი, ნეგატიური (უარყოფითი) ძალა მთელს მსოფლიოში იყო დაძლეული ყველაზე უძლეველი, პოზიტიური (დადებ

ითი) ძალის მიერ მთელს სამყაროში - ღმერთის სიყვარულით. არის ერთი ძველი ინგლისური სიმღერა, რომელსაც დიდი ხნის წინ მღეროდნენ. მისი დასახელებაა “სიყვარული გზას გაიკვლევს” და მასში ასეთი სიტყვებია:

“მთების ზემოდან და ნაკადულების ქვეშ
სიყვარული გზას გაიკვლევს.”

სიყვარული ყოველთვის აღწევს თავის ობიექტს - ის უძლეველია. ის არ ნებდება ბარიერებს. ის გაივლის ნებისმიერ რამეს, გადალახავს ნებისმიერ წინაღობას, გამოვა ყოველგვარი ტვირთის ქვემო-დან, ის მაინც მიაღწევს იქ, სადაც მიისწრაფის. სწორედ ასეთია ღმერთის სიყვარული.

იფიქრეთ ამის შესახებ. ღმერთის სიყვარული ინდივიდუალურია, მარადიულია, დროის მიღმაა და ის უძლეველია. ახლა კვლავ წარმოიდგინე შენი თავი მარგალიტად იესოს ხელში და უთხარი საკუთარ თავს: “მისი სიყვარული ჩემდამი ინდივიდუალური და მუდმივია. ის დროის მიღმაა და ის უძლეველია.” შემდეგ გაიხსენე რად დაუჯდა ეს მას - ყველაფრის ფასად, რაც კი გააჩნდა. შეჩერდი და მადლობა გადაუხადე მას.

იესოზ გადაიხადა სრული საფასური

ჩვენ განვიხილეთ ორი იგავი, რომელიც გვიჩვენებს იმ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ ფასზე, რომლის გადახდაც მოუხდა იესოს ჩვენს გამოსასყიდად: იგავი მინდორში ნაპოვნ განძზე და იგავი ძვირფას მარგალიტზე. ორივე მათგანში მოვაჭრეს ყველაფრის გაყიდვა მოუწია სასურველი შენაძენის გასაკეთებლად. ეს მას ყველაფრის ფასად დაუჯდა, რაც კი გააჩნდა. ეს ჭეშმარიტებაა იესოსთან მიმართებაში. ჩვენი დახსნა მას ყველაფრის ფასად დაუჯდა, რაც ჰქონდა.

და მაინც, რას ნიშნავდა იესოსთვის თავისი სიცოცხლის გაღება ჩვენს ნაცვლად? უპირველეს ყოვლისა, უნდა დავინახოთ, რომ ჩვენი დახსნის საფასური იესოს სისხლი იყო.

რაკი იცით, რომ ხრწნადი ვერცხლით ან ოქროთი კი არა ხართ გამოსყიდულნი მამათაგან მემკვიდრეობით მიღებული ამაო გზიდან, არამედ ქრისტეს ძვირფასი სისხლით, როგორც უბინო და უმანკო კრავისა. სვეტრეს 1:18-19;

მხოლოდ ქრისტეს სისხლით იყო შესაძლებელი ჩვენი გამოსყიდვა ჩვენი ცოდვებისგან, ჩვენი უგუნურებისგან და ჩვენი სიბნელისგან. რატომ უნდა ყოფილიყო აუცილებლად სისხლი? ძველი აღთქმა ნათელ პასუხს იძლევა ამაზე. სიცოცხლე, მშვივნა და მთელი სხეული სისხლშია. თუ ცოცხალ არსებას გააჩნია მშვივნა და აქვს სისხლი, მაშინ ამ ქმნილების სიცოცხლე, ანუ მშვივნა მის სისხლშია. ამაზე დაწერილია ლევიანთა 17:11-ში, სადაც მოსეს მიეცა კანონები იმისთვის, რომ სცოდნოდათ თუ როგორ ეცხოვრათ ღმერთის პრინციპების თანახმად. ღმერთმა თქვა და ეს წინასწარმეტყველებაა:

“რადგან სიცოცხლე [მშვივნა] ყოველი ხორციელისა მის

სისხლშია. მე თქვენ დაგინესეთ სისხლის მიტანა საკუროთხ ეველზე თქვენი სიცოცხლის [მშვინვის] შენდობისათვის (გან-წმენდა-გამოსყიდვისთვის); ეს სისხლი არის სიცოცხლე [ანუ მშვინვა], სისხლია, სულს რომ განწმედს.”

რა თქმა უნდა სისხლით გამოსყიდვა ჭეშმარიტება იყო ძველ აღთქმაში, წინასახის და აჩრდილების დროს, მაგრამ ის ნამდვილად წინასწარმეტყველური იყო სისხლზე, რომელიც იესომ ჯვრის სამსხვერპლოზე გაიღო, რათა ჩვენი სულების სრული და საბოლოო გამოსყიდვა შეესრულებინა.

გახსოვდეთ, რომ ებრაული სიტყვა, რომელიც ითარგმნება როგორც “სიცოცხლე”, ასევე “მშვინვას” ნიშნავს. ხორციელის მშვინვა ამ ქმნილების სისხლშია. ესაიამ წინასწარმეტყველურად წარმოთქვა, რომ იესო გაიღებდა თავის სიცოცხლეს და სისხლს და შესაბამისად თავის მშვინვას ჩვენი გულისთვის, როგორც გამოსასყიდს ჯვრის სამსხვერპლოზე. წინასწარმეტყველურად გაცხადებულ გამოსყიდვაზე სუბრისას ესაია ამბობს იესოზე:

სასიკვდილოდ განირა თავისი სული [მშვინვა] (ინგლისურ თარგმანში) - “სასიკვდილოდ გადმოღვარა თავისი მშვინვა და ბოროტმოქმედებთან შეირაცხა. და მრავალთა ცოდვა იტვირთა და დამნაშავეთათვის იშუამდგომლა”. (ესაია 53:12)

მიაქციეთ ყურადღება ოთხ რამეს, რაც იესომ გააკეთა: მან სასიკვდილოდ განირა თავისი სული ანუ მშვინვა; ბოროტმოქმედებთან შეირაცხა (ის ჯვარცმული იყო ორ ავაზაკს შორის); მან მრავალთა ცოდვა იტვირთა (სინამდვილეში მთელი მსოფლიოს ცოდვა); და დამნაშავეთათვის იშუამდგომლა. ვიდრე აღესრულებოდა ჯვარზე, ის ლოცულობდა: **“მამაო, მიუტევე მათ, რადგან არ იციან, რას აკეთებენ.”** (ლუკ. 23:34) ამ წინასწარმეტყველების ყოველი პუნქტი ზედმინვნით აღსრულდა იესოში. მაგრამ ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ პირველ პუნქტზე მე-12-ე მუხლში, “მან სასიკვდილოდ განი

რა თავისი სული (ანუ მშვინვა)...” მან გაიღო თავისი სიცოცხლე.

ჩვენ უნდა ვნახოთ ადგილი ლევანთა წიგნიდან, სადაც უფრო ნათლად და ზუსტად ჩნდება წინასწარმეტყველება, თუ რა უნდა მომხდარიყო. ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური დღე წლის განმავლობაში ებრაელი ხალხისთვის იყო გამოსყიდვის დღე, რომელიც დღეს ცნობილია როგორც “იომ კიპურ”-ი, მხოლოდ ამ დღეს მღვდელმთავარი შედიოდა წმიდათაწმიდაში სამსხვერპლო სისხლით, რომელიც ფარავდა ისრაელის ცოდვებს ერთი წლის მანძილზე. აი როგორ აღწერს ამას მოსე:

“და აიღოს მოზვრის სისხლი და მიაპკუროს თითოთ თავსარქველის ზედაპირს აღმოსავლეთიდან, და თავსარქველის წინ მიაპკუროს სისხლი შვიდგზის თითოთ.” ლევანთა 16:14;

მხოლოდ სისხლს შეეძლო ღმერთის ხალხის ცოდვების დაფარვა და გამოსყიდვა. ამიტომაც სისხლი უნდა შეეტანათ პირდაპირ ყოვლისშემძლე ღმერთის თანდასწრებაში - წმიდათაწმიდაში. დაუკვირდით, ის უნდა ეპკურებინათ შვიდჯერ. ეს შემთხვევით არ იყო. შვიდი არის როცხვი, რომელიც სულიწმიდის მოქმედებას აღნიშნავს. ის ასევე სისრულის და სრულყოფილების ნიშანია. შვიდი ნიშნავს საქმეს, რომელიც სრულყოფილად შესრულდა. სწორედ ამის აღსრულება მოხდა, როდესაც იესომ დაღვარა თავისი სისხლი. ვიდრე მისი მსხვერპლშენირვა საბოლოოდ დასრულდა, მან ზუსტად შვიდჯერ დაღვარა, ანუ აპკურა სისხლი.

ჩვენ ვხედავთ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებების და დებულებების ზუსტ აღსრულებას, როდესაც სახარებებში ვკითხულობთ ისტორიულ ჩანაწერებს. იესოს სისხლი შვიდჯერ დაიღვარა შვიდი სხვადასხვანაირი გზით.

მისი სისხლის პირველი პკურება მოხდა გეთსემანის ბაღში, როდესაც ის საკუთარ თავს ებრძოდა

აგონიაში, რომ საბოლოოდ დამორჩილებოდა ღმერთს უდიდესი მსხვერპლშენიერვის გასაკეთებლად.

აგონიაში მყოფი უმხურვალესად ლოცულობდა. და გახდა მისი ოფლი, როგორც სისხლის მსხვილი წვეთები, და მიწაზე ეცემოდა. ლუკას 22:44;

მისი სისხლი ოფლთან ერთად გამოიყო მისი სხეულიდან. ეს მისი აგონიის და ბრძოლის გამოხატულება იყო. ეს იყო პირველი პკურება.

მეორე პკურებას ადგილი ჰქონდა მღვდელმთავრის სახლში, როდესაც მას კითხავდნენ და შეურაცხ-ჰოცდნენ.

მაშინ აფურთხეს სახეში და სცემეს (ინგლისურში- სცემეს მუშტებით), **ზოგიერთებმა სილა გააწნეს.** მათე 26:67;

თარგმანი **“სცემეს მუშტებით”**, ასევე შეიძლება ითარგმნოს როგორც **“სცემეს ჯოხით.”** შესაძლოა ეს უფრო ზუსტი თარგმანია, რადგან ეს იყო ნაწინასწარმეტყველები ძველ აღთქმაში მიქას 5:1-ში, სადაც ნათქვამია: **”კვერთხს შემოჰკრავენ სახეში ისრაელის მსაჯულს.”** მაგრამ როგორც არ უნდა მომხდარიყო, მუშტით სცემეს თუ ჯოხით, მას სისხლი წასკდა სახიდან (შესაძლოა ცხვირიდან).

მესამე პკურების შესახებ დაწერილია მათე 27:26-ში:

მაშინ [პილატემ] გაუთავისუფლა მათ ბარაბა, ხოლო იესო გაამათრახებინა და გადასცა, რომ ჯვარს ეცვათ იგი.

ამაზეც აგრეთვე წინასწარ იყო დაწერილი ძველ აღთქმაში, სადაც უფალი ლაპარაკობს პიროვნების ბაგით და ამბობს:

“ზურგი მივუშვირე ჩემს მცემელთ და ჩემი ლოყები – ვინც წვერებს მაგლეჯდნენ. სახეს არ ვიფარავდი გინებისა და ფურთხისაგან.” ესაიას 50:6;

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ უფალმა ზურგი მიუშვირა. მას არავინ მოერია, მან თვითონ გაიღო თავი მსხვერპლად. ის გაშოლტეს რომაული მათრახით, რომელიც შედგებოდა ტყავის მრავალი

გრძელი ზოლისგან, რომლებსაც ძვლის ან მეტალის ბოლოები ჰქონდა. როდესაც მას ადამიანს ზურგზე გადაუჭერდნენ, მათრახი ფაქტიურად უფლეთდა ზურგს და ხორცს აგლეჯდა, ისე რომ მყესებს და ძვლებსაც კი აშიშვლებდა. ეს იყო სისხლის მესამე პკურება.

მეოთხე პკურებაზე არც თუ ისე ბევრია დაწერილი ახალ აღთქმაში, მაგრამ თუ დავუბრუნდებით ესაიას 50:6, ჩვენ ნავიკითხავთ:

“ზურგი მივუშვირე ჩემს მცემელთ და ჩემი ლოყები – ვინც წვერებს მაგლეჯდნენ.”

ისინი წვერს აგლეჯდნენ იესოს, წვერში ჩაავლეს და გამოგლიჯეს, რამაც ასევე გამოიწვია მისი სისხლის დაღვრა.

სისხლის მეხუთე პკურება იყო ეკლის გვირგვინი. მათე 27:28-29:

გახადეს რომაელმა ჯარისკაცებმა მას და მოასხეს ძონეულის მოსასხამი. დაწნეს ეკლის გვირგვინი, დაადგეს მას თავზე.

მათ არა უბრალოდ ადაადგეს გვირგვინი თავზე. ამ ულმოებელმა ჯარისკაცებმა, დაწნეს ეს გვირგვინი წვეტიანი ეკლებისგან (რომლებიც დღესაც იზრდება და შეგიძლიათ ნახოთ ისრაელის მთელს ტერიტორიაზე) შემდეგ კი დაადგეს და ჩააჭირეს თავში, სცემდნენ და თავში ურტყავდნენ. ამის გამო ის ბასრი ეკლები თავისქალაში ესობოდა: მეხუთე პკურება.

სისხლის მეექვსე პკურება თვით ჯვარცმა იყო, მათე 27:35:

“ჯვარს რომ აცვეს, წილის ყრით გაიყვეს მისი სამოსელი.”

მას ხელ-ფეხი ლურსმნით გაუხვრიტეს. ესეც ნაწინასწარმეტყველები იყო ძველ აღთქმაში. ფსალმუნის 21:16 ნათქვამია: **... გამიხვრიტეს ხელნი და ფერხნი.”** და მე-18-ე მუხლში: **“ჩემს სამოსელს ინანილებენ და წილს იყრიან ჩემს კვართზე.”**

რჩება სისხლის მეშვიდე, საბოლოო ჰკურება, რომელიც ფაქტიურად იესოს სიკვდილის შემდეგ მოხდა. რომელი ჯარისკაცი გააგზავნეს შესამონ-მებლად, სამივე ჯვარცმული თუ იყო ნამდვილად მკვდარი. მან მოკლა ამათგან ორი, მაგრამ როდესაც იესოსთან მივიდა, დაინახა, რომ ის უკვე მკვდარი იყო.

მაგრამ ერთმა ჯარისკაცმა შუბით გაუგმირა ფერდი და მისვე გადმოსკდა სისხლი და ნყალი. იოანეს 19:34;

ამ მეშვიდე ჯერზე, მისი სხეული დაიცალა სისხლისგან. ამგვარად მან სიტყვა-სიტყვით თავის სიცოცხლე (მშვინვა) გადმოლვარა სასიკვდილოდ. მან სისხლი შვიდჯერ დაღვარა.

1. მისი ოფლი სისხლად იქცა.
2. მას სახეში სცემდნენ მუშტებით და ჯოხებით.
3. მას სხეული დაუფლითეს რომაული მათრახით.
4. წვერი დააგლიჯეს.
5. თავში ეკლები ჩაარჭეს.
6. ხელ-ფეხი ლურსმნით გაუხვრიტეს.
7. ფერდი შუბით განუგმირეს.

როდესაც ამ ჩამონათვალს კითხულობთ გახსოვდეთ, რაოდენ ძლიერი იყო მისი სიყვარული. ეს ის ფასია, რაც მან გადაიხადა. მას ნამდვილად ყველაფრის ფასად დაუჯდა, რაც გააჩნდა. მან არა უბრალოდ თავისი დიდება დათმო, ტახტი და დიდებულება, როგორც ღმერთმა. არც რამდენიმე მიწიერი რამ, რასაც, როგორც კაცი, ფლობდა დედამიწაზე. მან საკუთარი თავი უარყო. თავისი საკუთარი სიცოცხლე გაიღო და გადმოლვარა ის თავის სისხლში, როგორც გამოსყიდვის საფასური. იფიქრეთ ამაზე და გაიაზრეთ, რა დიდია ღმერთის სიყვარული. სულ მცირე, რაც შეიძლება ითქვას - ის არაჩვეულებრივია.

მთელი მამაკვირეობა

ახლა ჩვენ განვიხილავთ, რას ვიღებთ ქრისტეში გამოსყიდვის მეშვეობით: ჩვენს უსაზღვრო მემკვიდრეობას. ღმერთი არა მხოლოდ ფასის გადახდაში იყო არაჩვეულებრივი, რათა დავეხსენით ჩვენ, არამედ ისეთივე არაჩვეულებრივია ის, რასაც ქრისტეში გვჩუქნის.

რომაელთა 8:15-17-ში პავლე წერს ქრიტიანებს, თუ რა გვეძლევა რწმენის მეშვეობით ქრისტეში.

ვინაიდან არ მიგიღიათ მონობის სული, რათა კვლავ შიშით იყოთ, არამედ მიღებული გაქვთ შვილობის სული, რომლითაც [სულიწმიდით] ვლაღადებთ: “აბბა, მამაო!” სწორედ ეს სული ემონშება ჩვენს სულს, რომ ღვთის შვილები ვართ. ხოლო თუ შვილები - მემკვიდრენიც, ღვთის მემკვიდრენი, და ქრისტეს თანამემკვიდრენი, თუ სინამდვილეში მასთან ერთად ვიტანჯებით, რათა მასთან ერთად ვიდილოთ კიდევ.

სიტყვა აბბა არამეული ანუ ებრაულია და შეესატყვისება ქართულ სიყვას “მამიკო.” ასე რომ ჩვენ ვხედავთ მამა ღმერთთან ახლო ურთიერთობას, რაკი მას აბბა ანუ “მამიკო”-თი მივმართავთ. თვით ღვთის სული გვაძლევს ამის უზრუნველყოფას და ამაში დარწმუნებულობას.

ბიბლია გვეუბნება, რომ ჩვენ ღმერთის შვილები ვართ, მაგრამ ღვთის სული უფრო განამტკიცებს ამ ჭეშმარიტებას პიროვნულად თითოეული ჩვენგანის გულში. *ჩვენ ღვთის შვილები ვართ.* კაცობრიობისთვის ნორმალური და მიღებულია, რომ როდესაც ჩვენ შვილები ვხდებით, ამავდროულად მემკვიდრეებიც ვხდებით. აქ ჩვენ ღმერთის მემკვიდრეებად ვიქცევით და იესოს თანამემკვიდრეებად. რა თქმაუნდა აქ ერთი პირობაა მოყვანილი: თუ სინამდვილეში მასთან ერთად ვიტანჯებით. ეს მისი თანამემკვიდრეობის ერთ-ერთი პირობაა. თუ მე

კვიდრეობას ვიზიარებთ, ჩვენ ასევე ტანჯვასაც უნდა ვიზიარებდეთ. გახსოვდეთ, რომ მარგალიტი ტანჯვის პროდუქტი და შედეგია.

მნიშვნელოვანია გვესმოდეს რას ნიშნავს თანამემკვიდრე. ეს არ ნიშნავს, რომ ყოველი ჩვენგანი მთელი მემკვიდრეობის პატარა ნაწილს მივიღებთ. ეს ნიშნავს, რომ იესოს, როგორც პირმშო ძეს, აქვს სრული მემკვიდრეობა და ჩვენ მასთან ერთად ვიზიარებთ მთელს მემკვიდრეობას. თითოეულ ჩვენგანს აქვს უფლება მთელს მემკვიდრეობაზე, რაც იესოს მემკვიდრეობაა. ღვთის სასუფეველის კანონი - გაზიარებაა. ჩვენ ყველა ჩვენს წილს არ ვებლაუჭებით და ვიხვეჭთ, არამედ ყველა ერთად ვიზიარებთ ყველაფერს, რაც მამა ღმერთს და ძეს, ქრისტეს აქვს. აი, რას ამბობს იესო ამ მემკვიდრეობაზე და საიდან შეგვიძლია გავიგოთ ამის შესახებ. იოანეს 16:13-15-ში, როდესაც სულიწმიდის მოსვლაზე საუბრობდა, მან თქვა:

“როცა მოვა იგი, სული ქვეშაირიტებისა, შეგიძლებათ სრულ ქვეშაირიტებაში. ჩვენ ვერ ჩაწვდებით ამას სულიწმიდის გარეშე. იგი განმადიდებს მე, რადგან ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ. ყველაფერი, რაც მამას აქვს, ჩემია.”

ყველაფერი, რაც მამას ეკუთვნის, ძის კუთვნილებაა და სულიწმიდა გაგვიცხადებს ჩვენ, თუ რა არის ეს. გახსოვდეთ, რომ სულიწმიდაა ის, ვინც განკარგავს მემკვიდრეობას. თუ კარგი დამოკიდებულება არ გვაქვს სულიწმიდასთან და ახლა შევდივართ მასთან ურთიერთობაში, მაშინ თეორიულად შეიძლება მეფის შვილები ვიყოთ, მაგრამ ვცხოვრობდეთ, როგორც ღარიბები და მათხოვრები, რადგან არ შევდივართ ჩვენს მემკვიდრეობაში. მემკვიდრეობაა ყველაფერი, რაც მამა ღმერთს და ძე ღმერთს ეკუთვნის. ისინი ერთობლივად იზიარებენ ამას და ჩვენც მათთან ერთად ვიზიარებთ. ეს ის სისრულეა, რომელიც ღმერთმა გადმოლვარა ჩვენზე

ქრისტეში. ის არ არის ძუნწი, მას არ ენანება. ის არ არის რელიგიური. ის არაჩვეულებრივია.

შევხედოთ წერილის კიდევ ერთ ადგილს, სადაც ჩვენი მემკვიდრეობის ღონეზე და ხარისხზეა ლაპარაკი.

ის, ვინც თავისი საკუთარი ძე [იესო] არ დაინდო, არამედ განწირა ჩვენთვის, ყველასათვის, [ეს არის ფასი, რომელიც ღმერთმა გადაიხადა], განა მასთან ერთად ყოველივეს არ მოგვმადლებს? რომაელთა 8:32;

განვიხილოთ ამ სიტყვების შედეგები. როდესაც ქრისტეს ვღებულობთ, ღმერთი უსასყიდლოდ გვაძლევს *ყოველივეს*. მის გარეშე ჩვენ ვერაფერს ვერ მივიღებთ. რამხელა აქცენტია გაკეთებული მემკვიდრეობის სიდიადეზე და მის სრულ უსასყიდლობაზე. ჩვენ ვერ დავიმსახურებთ მას. ჩვენ ვიღებთ მას როგორც უსასყიდლო საჩუქარს და მასში ყოველივე იგულისხმება. ჩვენ მთელი მემკვიდრეობის მფლობელნი ვართ, როდესაც ქრისტეს ვღებულობთ; ყველაფრის მემკვიდრენი, რასაც მამა ღმერთი და ძე ღმერთი ფლობს.

კორინთელთა მიმართ პირველ წერილში პავლე ცდილობს დაანახვოს მორწმუნეებს, რაოდენ მდიდრები არიან ისინი, და ის ერთგვარად საყვედურობს მათ, რადგან ისინი იქცეოდნენ, როგორც ღარიბები. ისინი ბოროტები, მენჯრილმანე და შურიანები იყვნენ ერთმანეთის მიმართ. ფაქტიურად ის ამბობს: “ხალხნო, თქვენ ვერ ათვისებთ იერებთ რას ფლობთ.”

ამიტომ ნურავინ დაიკვებნის ადამიანებით, ვინაიდან ყოველივე თქვენია. გინდ პავლე, გინდ აპოლოსი, გინდ კეფა, გინდ სოფელი, გინდ სიცოცხლე, გინდ სიკვდილი, გინდ ანმყო და გინდ მყოფადი - ყოველივე თქვენია. თქვენ ხომ ქრისტესი ხართ, ქრისტე კი ღვთისაა. 1 კორინთელთა 3:21-23;

ეს დიდებული, აღმაფრთოვანებელი განცხადებაა, არა? ფაქტიურად ის ამბობს: “ყველაფერი

თქვენ გეკუთვნით. ნუღარ იქცევი შურიანივით და მენჭრილმანესავით. ნურც მქადაგებლებს ებლაუჭებით. ნუღარ იქნებით ასეთი ვინრო აზროვნების ყველაფერი თქვენია.”

გახსოვდეთ, ეს უსასყიდლოდ გვეძლევა, ამას ჩვენ ვერ დავიმსახურებთ. მაგრამ, მნიშვნელოვანია ვთხოვოთ სულიწმიდას, რომ გაზარდოს ჩვენი რწმენა და შეემეცნება. სულიწმიდაა ადმინისტრატორი და ვიდრე ის არ დაგველაპარაკება და შეგვიძლევს ჭეშმარიტებაში, ეს ყველაფერი მხოლოდ სიტყვებად დარჩება და რეალობად ვერ იქცევა. მხოლოდ სულიწმიდაა, ვინც აღთქმებს რეალობად აქცევს.

და ბოლოს, ვნახავთ 1იოანეს 4:16-ს სვადასხვა თარგმანებს:

“ჩვენ ვცანით და ვინამეთ სიყვარული, რომელიც ჩვენდამი აქვს ღმერთს. ღმერთი სიყვარულია, ხოლო სიყვარულში დარჩენილი ღმერთში რჩება, ხოლო ღმერთი - მასში.”

“და ჩვენ ვიცით და ვეყრდნობით (დანდობილნი ვართ) სიყვარულს, რომელიც ჩვენდამი აქვს ღმერთს. ღმერთი სიყვარულია. ხოლო ვინც სიყვარულში ცხოვრობს, ღმერთში ცხოვრობს, ხოლო ღმერთი - მასში.”

ყურადღება გაამახვილეთ ამ მუხლის სანყის ფრაზაზე: **“ჩვენ ვცანით და ვინამეთ სიყვარული, რომელიც ჩვენდამი აქვს ღმერთს.”** ამის ალტერნატიული თარგმანია: **“და ჩვენ ვიცით და ვეყრდნობით (დანდობილნი ვართ) სიყვარულს, რომელიც ჩვენდამი აქვს ღმერთს.”** არსებობს ორი ასპექტი. ერთი არის იმის ცოდნა, რომ ღმერთს აქვს თქვენდამი სიყვარული; მეორე კი რწმენა, რომ ღმერთს აქვს თქვენდამი სიყვარული. ან, ალტერნატიულ თარგმანში, ღმერთის თქვენდამი სიყვარულზე დაყრდნობა.

ბევრი ქრისტიანი ეკლესიებში ისმენს წმიდა წერილებს ღმერთის სიყვარულის შესახებ. ამით შეიძლება თავს ინუგეშებენ ან კიდევ იჯერებენ, მაგრამ

წერილი რეალობად ვერ იქცევა, ვიდრე მასზე დაყრდნობა არ დავინწყობთ. ჩვენ სერიოზულად უნდა აღვიქვათ, რომ ღმერთს ვუყვარვართ და მან უმაღლესი ფასი გადაიხადა, რაც კი სამყაროში შეიძლებოდა შეთავაზებულყო ჩვენს გამოსასყიდად და როდესაც გამოგვისყიდა, მან ჩვენი გახადა მთელი მემკვიდრეობა. ჩვენ უნდა დავინწყოთ ამ ჭეშმარიტების თანახმად მოქმედება და მას დავეყრდნოთ. ჩვენ აღარ უნდა ვიყოთ ბოროტები, მენჭრილმანეები, ძუნწები სხვების მიმართ (საკუთარი თავის მიმართაც) და უნდა ვისწავლოთ ვიყოთ ისეთები, როგორც ღმერთია - არაჩვეულებრივები.

არაჩვეულებრივი სიყვარულის დაბრუნება

ჩვენ ვნახეთ, რომ ღმერთის სიყვარული კაცობრიობის მიმართ შეიძლება გაიზომოს გარკვეული ობიექტური სტანდარტებით. უპირველესად ის შეიძლება გაიზომოს იმ ფასით, რაც ღმერთმა და იესომ გადაიხადა. ეს ფასი მოყვანილია ორ იგავში, რომლის შესახებაც პირველ თავში ვისაუბრეთ: ფასი იყო *ყველაფერი, რაც გააჩნდა*. მან გაიღო თავისი სისხლი, რომელშიც მისი სიცოცხლე იყო. მან თავისი მშვინვა, ანუ სიცოცხლე გადმოლვარა და მოკვდა თავისი სისხლის შვიდგზის პკურებით.

მეორე, ღმერთის სიყვარული ჩვენდამი შეიძლება გაიზომოს მემკვიდრეობით, რომელიც მან ქრისტეში მოგვცა. ჩვენ ქრისტეს თანამემკვიდრეები და ღმერთის მემკვიდრეები ვართ. მამა ღმერთის და ძე ღმერთის მთელი მემკვიდრეობა ჩვენი ხდება იესო ქრისტესთან ერთად. ღვთის სიყვარულის სიდიადე შეიძლება გაიზომოს ფასით, რომელიც მან გადაიხადა და მემკვიდრეობით, რომელსაც გვთავაზობს.

ახლა უნდა ვნახოთ ამ მედალის მეორე მხარე: როგორ უნდა ვუპასუხოთ ღმერთის ასეთ არაჩვეულებრივ სიყვარულს? ძალიან მარტივად, ჩვენც არაჩვეულებრივები უნდა ვიყოთ. ამის ილუსტრირებისთვის, მოდით შევხედოთ რა გააკეთა ერთმა ქალმა იესოსთვის, მის სიკვდილამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე.

როცა იესო ბეთანიაში იყო, სიმონ კეთროვნის სახლში, და ინახად იჯდა, მივიდა დედაკაცი, რომელსაც ალეხანდრონის ქურჭლით ჰქონდა სუფთა ნელსაცხებელი ძვირად ღირებული ნარდისა. და გატეხა მან ალეხანდრონი და თავზე დაასხა მას. იყვნენ ზოგიერთნი, რომლებიც აღშფოთებით ლაპარაკობდნენ ერთმანეთში: ასე რად დაიხარჯა ნელსაცხებელი? ხომ შეიძლებოდა ამ ნელსაცხებლის წლიურ ანაზღაურებაზე მეტ

თანხად გაყიდვა და ღარიბებისათვის დარიგება? და კიცხავდნენ მას. იესომ თქვა: „მოეშვით მაგას, რატომ ანუხებთ? მან კეთილი საქმე გამიკეთა მე. ვინაიდან ღარიბნი მუდამ თქვენთანა გყავთ და, თუკი მოისურვებთ, შეგიძლიათ სიკეთე უყოთ მათ. მე კი მუდამ არ გეყოლებით. მან ის გააკეთა, რაც შეეძლო: წინასწარ სცხო ჩემს სხეულს ნელსაცხებელი დასამარხავად. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: სადაც კი იქადაგება სახარება მთელ ქვეყნიერებაზე, იტყვიან იმასაც, რაც მან გააკეთა, მის მოსაგონებლად.“ მარკოზის 14:3-9;

იესო დიდებული სიტყვებით ასრულებს: “იტყვიან იმასაც, რაც მან გააკეთა, მის მოსაგონებლად.” მოდით ვნახოთ იგივე ამბავი იოანეს 12:3-6-ში. ამ წერილში ხდება ქალის იდენტიფიკაცია და ასევე ზოგიერთი სხვა ასპექტის გამოაშკარავება, რაც იქ მოხდა.

მარიამმა აიღო ერთი ლიტრა სუფთა, ძვირფასი ნარდის ნელსაცხებელი, ფეხებზე სცხო იესოს და თავისი თმებით შეუმშრალა ფეხები. სახლი ნელსაცხებლის სურნელებით აივსო. თქვა იუდა ისკარიოტელმა, ერთმა მის მონაფეთაგანმა, რომელსაც გულში ჰქონდა მისი გაცემა: „რატომ არ გაიყიდა ეს ნელსაცხებელი სამას დინარად და ღარიბებს არ დაურიგდა? მისი ღირებულება ხომ წლიური შემოსავლის ტოლფასი იყო.“ ეს იმიტომ კი არ თქვა, რომ ღარიბებზე ზრუნავდა, არამედ იმიტომ, რომ ქურდი იყო, ყულაბა მას ებარა და ხანდახან იღებდა თავისთვის შიგ ჩაყრილს.

განვიხილოთ სამი მნიშვნელოვანი ელემენტი ამ ისტორიაში: პირველი, რა მოიმოქმედა მარიამმა; მეორე, რა თქვა იესომ; და მესამე, როგორ რეაგირებენ კრიტიკოსები.

რა გააკეთა მარიამმა

უპირველეს ყოვლისა, შეხედეთ, რა გააკეთა მარიამმა. ის არაჩვეულებრივად მოიქცა. მან დაღვარა ნელსაცხებელი, რომლის საფასურიც წლიურ შემოსავლს აღემატებოდა. შეერთებული შტატების თანამედროვე სტანდარტით ეს იქნებოდა 15 000 ან მეტი დოლარი. მან დაღვარა ნახევარ ლიტ

რამდე ნელსაცხებელი, რომლის ღირებულებაც 15000 დოლარს შეადგენდა, რომელიც ესხა მშვენიერ ალექსანდრონის ჭურჭელში, რომელიც მან გატეხა. ამ ჭურჭელს ველარასოდეს გამოიყენებდა. ეს ყველაფერი სრულებით განადგურდა სულ რამდენიმე წუთში. ეს უჩვეულო, არაჩვეულებრივი რამ იყო! მეორეც, მარიამი სრულიად მიძღვნილი იყო. მან არა უბრალოდ თავზე დაასხა ნელსაცხებელი, როგორც მარკოზის სახარებაში ვკითხულობთ, არამედ, იოანეს სახარებაში ჩვენ ვხედავთ, რომ მან ფეხებზე დაასხა და შემდეგ ფეხები თავისი თმით შეუმშრალა. წარმოიდგინეთ ეს სურათი: მარიამი დაჩოქილია იესოს ტერფებთან, ჩამოიშლის გრძელ თმას, ასხამს მას ფეხებზე ნელსაცხებელს, შეაზელს მას და ურბილებს ტერფებს.

რა თქვა იესომ

განვიხილოთ რამდენიმე ძალიან ძლიერი რამ, რაც იესომ თქვა ამ ქალზე. ის, რა თქმა უნდა არ დადგა კრიტიკოსების მხარეს. მარკოზის 14:6-ში ის ამბობს ქალზე: **“მან კეთილი (ინგლისურ თარგმანში-მშვენიერი) საქმე გამიკეთა მე”** ჩვენ მაღლიერნი უნდა ვიყოთ ამ თარგამნისთვის. ამ მოქმედებაში იესომ დაინახა რაღაც ისეთი, რაც აღიქვა, როგორც მშვენიერი. არაჩვეულებრივი სიყვარული - მშვენიერია.

მარკოზის 14:8-ში იესო ამბობს ქალზე: **“მან ის გააკეთა, რაც შეეძლო.”** ეს ისეთი მარტივია, მგრამ იმდენად მნიშველოვანი. ღმერთი არასოდეს გვთხოვს იმაზე მეტის გაკეთებას, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია. ხშირად მომისმენია, რომ ამბობენ: **“ნეტავ მეტის გაკეთება შეეძლოს.”** მაგრამ ჩემში რაღაც ყოველთვის ამბობს: **“მაინტერესებს, ნეტა თუ მართლა აკეთებენ, რაც შეუძლიათ?”** ღმერთი არასოდეს მოგთხოვთ იმაზე მეტის გაკეთებას, ვიდრე შეგიძლიათ. მაგრამ, თუ აკეთებთ რაც შეგიძლიათ, იესოს დამოკიდებულება თქვენდამიც ისეთივე იქნე

ბა, როგორც იმ ქალისადმი ჰქონდა.

ასევე მარკოზის 14:8-ში: **“წინასწარ სცხო ჩემს სხეულს ნელსაცხებელი დასამარხავად.”** ეს გასაოცარი განცხადებაა. არც ერთ მის მოწაფეს იმ დროისთვის ბოლომდე არ სჯეროდა, რომ იესო უნდა მომკვდარიყო და დამარხულიყო. და ამ დროს მარიამს, ყველა ამ ადამიანს შორის ერთადერთს, ჰქონდა გამოცხადება, რომ ის უნდა მომკვდარიყო და დამარხულიყო. როდესაც ის მართლაც მოკვდა ჯვარზე, მათ დრო აღარ ჰქონდათ, რომ სათანადოდ ეცხოთ მისი სხეული. მათ გაახვიეს ის ტილოებში და ცოტაოდენი სუნამო და ნელსაცხებლები წაუსვეს სხეულზე, მაგრამ ნამდვილი ცხება ვერ შეძლეს. მათ აღარ ჰქონდა ამის შესაძლებლობა. ხოლო მარიამი გახსნილი იყო სულიწმიდისადმი. სულიწმიდას შეეძლო მისთვის რაღაცის თქმა, რადგან მას შეეძლო ელაპარაკა მის გულში და არა აუცილებლად მის გონებაში. ფრანგულ ენაში არსებობს ასეთი გამოთქმა: **“გულს თავისი მიზეზები აქვს, რომლის მიზეზზეც არაფერია ცნობილი.”** ვფიქრობ იმ ქალის გულს ჰქონდა რაღაც მიზეზები, რომელიც იმ ხალხს, ვინც იქ იჯდა და განსჯიდა, უბრალოდ არ ესმოდა. მარიამის უდიდესი საზღაურის შესახებ დაწერილია მარკოზის 14:9-ში:

“ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: სადაც კი იქადაგება სახარება მთელ ქვეყნიერებაზე, იტყვიან იმასაც, რაც მან გააკეთა, მის მოსაგონებლად.”

ეს სწავლებაც კი ამ წინასწარმეტყველების აღსრულებას, რადგან ეს ასევე რადიოთივც გადაიცემა და სავარაუდოდ ამ სწავლებას მთელს მსოფლიოში მოისმენენ. ეს მრავალთა შორის ერთ-ერთი აღსრულებაა.

როგორ რეაგირებენ კრიტიკოსები

და ბოლოს, შევხედოთ კრიტიკოსების რეაქციას. პირველი, ისინი ძუნწობენ, რაც რელიგიურ

ადამიანებს სშირად ახასიათებთ. დაფუკვირდეთ ამ გამოთქმას: “ეკლესიის თავივით უქონელი.” ამ გამოთქმაში საშინელი აზრია ჩადებული, რადგან ქვეყნიერებას მიაჩნია, რომ ეკლესიის თავგები სხვა თავგებზე უფრო უქონელები არიან. ქვეყნიერება აღიქვამს ეკლესიას, როგორც საკმაოდ ღარიბი და ძუნწი ხალხის ჯგუფს. უამრავი ქრისტიანი საკმაო საბაბსაც აძლევს, რომ მათ ასე იფიქრონ. მაგრამ, იქ კრიტიკოსები იყვნენ ძუნწები და არა იესო და მარიამი.

მეორე, ეს კრიტიკოსები თვალთმაქცები იყვნენ. ისინი უეცრად შენუხდნენ და დაინტერესდნენ ღარიბების ბედით, როდესაც დაინახეს, რომ ნელსაცხებელი დაიღვარა. ჩნდება კითხვა, ნეტავ თუ ბევრად ირჯებოდნენ ღარიბებისთვის იმ მომენტამდე, ან თუნდაც იმ მომენტის შემდეგ თუ გაუკეთეს რამე?

მესამე, და ეს ტიპიურია კრიტიკოსებისთვის, ისინი უბედურები იყვნენ. მათ სურნელებით დატკობაც კი ვერ შეძლეს. მთელი სახლი აივსო მშვენიერი ნელსაცხებლის სურნელით, ხოლო ისინი იმდენად დაკავებულნი იყვნენ გაბრაზებით და კრიტიკით, რომ ვერც კი დატკბნენ ამ კეთილსურნელებით.

რადგან ვამთავრებთ ამ კონკრეტულ თავს, თუ როგორ უნდა ვუპასუხოთ ღმერთის არაჩვეულებრივ სიყვარულს, მე მინდა დაგისვათ საკმაოდ პირადული კითხვა. როდისმე შეხებია სულიწმიდა თქვენს გულს ისე, რომ არაჩვეულებრივი ყოფილიყავით თქვენს მიძღვნაში იესოსადმი? თქვენ ვერაფერს გაუკეთებთ უშუალოდ თვითონ იესოს, რადგან ის ზეცაშია. მაგრამ, მარიამის მსგავსად, თქვენ შეგიძლიათ რაღაც გააკეთოთ მისი სხეულისთვის, მისი ხალხისთვის ამ მინაზე.

ეს სწავლება გადაიცემა დედამიწის მრავალ შორეულ ადგილებში: ჩინეთში, ინდოეთში, აფრიკის ქვეყნებში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში,

კუნძულებზე, ევროპის და აზიის ქვეყნებში. მრავალი მათგანი, შესაძლოა უმრავლესობა, ვინც ამას მოისმენს, ამერიკული სტანდარტით, უკიდურესად ღარიბია. შეიძლება მათ თეთრეულიც კი არ აქვთ სანოლზე. მათ შეიძლება ქოხში ფარდაგზე სძინავთ. ბევრ მათგანს შეიძლება ფეხსაცმელიც არ აცვია. მათ უმრავლესობას, შესაძლოა არჩევანი არ გააჩნია, თუ რა ჭამოს. ჩვენ მივეჩვიეთ რომ მოვიფიქროთ ,თუ რა შევჭამოთ, მაგრამ ვერც კი წარმოვიდგენთ, რომ მსოფლიო სავსეა ადამიანებით, რომლებსაც არასოდეს ჰქონდათ ეს არჩევანი. ზოგ მათგანს საერთოდ არ აქვთ საჭმელი.

თუ თქვენ დამეხმარებით ამ ადამიანებამდე მიღწევაში, თქვენ რაღაცას აკეთებთ ქრისტეს სხეულისთვის მინაზე. თუ სულიწმიდა შეეხება თქვენს გულს იქნებით მარიამივით? იქნებით არაჩვეულებრივები? გაბედავთ გააკეთოთ რაღაც ექსტრაორდინალური? რელიგიურმა ადამიანებმა შეიძლება გაგაკრიტიკონ, მაგრამ გახსოვდეთ, იესო განგადიდებთ თქვენ.

ავტორის შესახებ

დერეკ პრინსი (1915 - 2003) დაიბადა ინდოეთში, ბრიტანელების ოჯახში. განათლებით ებრაული და ლათინური ენების მეცნიერი. განათლება მიიღო იტონის კოლეჯში და კემბრიჯის უნივერსიტეტში, ინგლისში. ის გახლდათ კინგს კოლეჯის სტიპენდიანტი ძველ და თანამედროვე ფილოსოფიაში. ის აგრეთვე სწავლობდა რამდენიმე თანამედროვე ენასაც, ებრაულის და არამეულის ჩათვლით კემბრიჯის უნივერსიტეტში და ებრაულ უნივერსიტეტში იერუსალიმში.

მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანულ ჯარში მსახურებისას მან დაიწყო ბიბლიის შესწავლა და განიცადა ის, რამაც მთელი მისი ცხოვრება შეცვალა - შეიცნო იესო ქრისტე. ამ გაცნობის შემდეგ მან ორი დასკვნა გააკეთა: პირველი, რომ

იესო ცოცხალია; მეორე, რომ ბიბლია ჭეშმარი-
ტი, სანდო, მნიშვნელოვანი და თანამედროვე წიგნია.
ამ დასკვნებმა სრულიად შეცვალა მისი ცხოვრების
კურსი, რომელიც მან ამის შემდეგ მიუძღვნა ბიბ-
ლიის შესწავლას და სწავლებას.

მისი ყოველდღიური რადიო გადაცემა “წარმატე-
ბული ცხოვრების გასაღები” თითქმის ნახევარ
მსოფლიოს მოიცავს. მათ შორის გადაიცემა არაბულ,
ჩინურ, ხორვატიულ, მალაგასიურ, მონღოლურ, რუ-
სულ, ესპანურ, სამოას და ტონგოს ენებზე. ის
სწავლებების 50-ზე მეტი წიგნის, 500 აუდიო და
160 ვიდეო კასეტის ავტორია. მრავალი მათგანი
გადაითარგმნა დაგამოიცა 60-ზე მეტ ენაზე.

დერეკ პრინსის ძირითადი ნიჭი, ბიბლიის და მისი
სწავლებების გასაგებად და მარტივად განმარტება,
მილიონობით სიცოცხლეს დაეხმარა რწმენის საფუძ-
ვლების აშენებაში. მისმა არადენომინაციურმა და
არასექტანტურმა მიდგომამ მისი სწავლება გახადა
თანაბრად გამოსადეგი და სასარგებლო ნებისმიერი
რასობრივი და რელიგიური წარმომავლობის ადა-
მიანისთვის.

ღმერთის სიხვარული უზარმაზარი, უსაზღვრო, არაჩვეუ- ლუბრივია!

როგორ გავუმოთ ის?

როგორ ვუპასუხოთ მას?

ღმერთის ბუნება თავისი არსით - სიყვარულია.
ეს წიგნი წმიდა წერილების სხვადასხვა ადგილებს
ციტირებს, რათა თვალნათლივ დავინახოთ ღმერთის
სიყვარულის სიდიადე თითოეული ჩვენგანის მიმართ.
დერეკი ასწავლის ოთხ მნიშვნელოვან ფაქტს ღმერ-
თის სიყვარულის შესახებ:

- ის არის ინდივიდუალური.
- ის არის უსასრულო.
- ის არის მარადიულია.
- ის არის უძლეველი.

როგორ უნდა ვუპასუხოთ ღმერთის არაჩვეულებრივ
სიყვარულს? არაჩვეულებრივად!

დერეკ პრინსმა განათლება იტონში და კემბრიჯში
მიიღო, სადაც ის მოგვიანებით ფილოსოფიის სტი-
პენდიატი გახდა. ბრიტანულ ჯარში მსახურებისას
მეორე მსოფლიო ომის დროს მან ისეთი რამ
განიცადა, რამაც მთელი მისი ცხოვრება შეცვალა
- შეიცნო იესო ქრისტე. ამის შემდეგ მან ბიბ-
ლიის შესწავლას და სწავლებას მიუძღვნა თავისი
ცხოვრება და მთელს მსოფლიოში ბიბლიის წამყვან
მასწავლებლადაა ცნობილი. გარდა ყოველდღიური
რადიო გადაცემების, დერეკი მრავალი წიგნის ავ-
ტორიცაა.

თუ გსურთ მიიღოთ მეტი ინფორმაცია
დერეკ პრინსის მსახურების შესახებ ქართულ
ენაზე, მოგვინახულეთ Facebook-ის გვერდზე: “დერეკ
პრინსის მისია საქართველოში”

თუ გსურთ ქართულ ენაზე უყუროთ დერეკ
პრინსის ვიდეო სწავლებას “**საფუძვლის დადება**“
მოგვძებნეთ <https://www.youtube.com> -ზე.

თუ გსურთ შეიძინოთ დერეკ პრინსის სხვა
წიგნები ქართულ ენაზე მოგვწერეთ ფოსტაზე
derekprincegeorgia@gmail.com